

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და
ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრს შორის
ურთიერთთანამშრომლობის
მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ. ახალციხე

27. 02. 2018 წ.

ერთის მხრივ, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი მისი რექტორის, ასოცირებული პროფესორის მაკა ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრი (შემდგომში „რესურსცენტრი“) წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის, იზოლდა ლომიძის სახით, მხარეები ისწრაფვიან რა, ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეთა უფლებამოსილობის ფარგლებში დებენ წინამდებარე „ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1.

მემორანდუმის მიზანია უნივერსიტეტსა და რესურსცენტრს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება განათლების სფეროში კერძოდ, უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთათვის (მათ შორის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო 300 კრედიტიანი პროგრამის სტუდენტებისათვის და სხვა) სასწავლო პრაქტიკის ბაზის შექმნის მიზნით, რესურსცენტრის დაქვემდებარებაში შემავალ საჯარო სკოლებთან ურთიერთობის ხელშეწყობა.

მუხლი 2.

1. მემორანდუმის მიზნის განსახორციელებლად მხარეები იღებენ ვალდებულებას შემდეგზე:

უნივერსიტეტი:

- ა) უზრუნველყოფს სკოლის მოსწავლეებისათვის საჯარო ლექციების ჩატარებას სხვადასხვა დარგობრივი დისციპლინების მიხედვით შესაბამისი აკადემიური პერსონალის მიერ;
- ბ) უზრუნველყოფს სკოლის პედაგოგთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართვას;
- გ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ, სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეების რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში და სასწავლო საგნობრივ ოლიმპიადებში აქტიურ ჩართვას და სხვა.

რესურსცენტრი:

უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების მიერ (მათ შორის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო 300 კრედიტიანი პროგრამის სტუდენტებისათვის და სხვა) სასწავლო პრაქტიკის ბაზის შექმნის მიზნით, ხელს შეუწყობს მის დაქვემდებარებაში შემავალ საჯარო სკოლებთან უნივერსიტეტის ურთიერთობას.

მუხლი 3.

მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

მუხლი 4.

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5.

მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რომელიც შესრულებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

მუხლი 6.

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 7.

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე. მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება შესრულებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. მემორანდუმის ცალმხრივად შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია ამის შესახებ გონივრულ ვადაში წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

ხელმძღვანელი

იზოლდა ლომიძე

ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ. 5



სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მაკა ბერიძე

ქ.ახალციხე, რუსთაველის ქ. N113

